პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის (პირადი №60001023533), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 1,80 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.30.348) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კომპაუდს“ შორის 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კომპაუდის“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (23.03.2021 წლის №2021/26/1-ქ) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 180,0 (ასოთხმოცი) ლარს.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ბორის ჯამბურიძის (10.06.2021 წ. №19/4421161185-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილზე არსებული იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე ბორის ჯამბურიძეს შორის 2016 წლის 1 ივნისს გაფორმებული იქნა №16 საიჯარო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც მოქალაქე ბორის ჯამბურიძეს იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით, ტროტუარის ნაწილი (ფართობი: 1,80 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.30.348), წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 180,0 (ასოთხმოცი) ლარის ოდენობით. მოქალაქე ბორის ჯამბურიძეს სარგებლობაში გადაცემული ქონება უნდა გამოეყენებინა კიბის უჯრედის მოსაწყობად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით, ტროტუარი (დაზუსტებული ფართობი: 1441,0 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.30.348)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის (პ.ნ №60001023533), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №47-ის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (ფართობი: 1,80 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.30.348) 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდს“ შორის 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (23.03.2021 წლის №2021/26/1-ქ) მიხედვით, რომელიც შეადგენს 180,0 (ასოთხმოცი) ლარს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ბორის ჯამბურიძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ .

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი